

შპს „ელვა“

ს/კ 205108578

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის.**

1. ზოგადი ინფორმაცია

„ელვა“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქუჩა, (ყოფ.კონშტანტის) №58.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სადაზვერვო ბურღვა და ფეთქებითი სამუშაოებით მომსახურება. დამხმარე საქმიანობა არის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული საქონლისა და ნედლეულის რეალიზაციები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

2.1 ამონაგების აღიარება

მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი ამონაგები აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევის დასრულებისას.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2 მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს.

2.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მისაყვანად ასევე დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
სატრანსპორტო საშუალებები	20 პროცენტი
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20 პროცენტი

2.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიისთვის არსებობის შემთხვევაში, არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია განსაზღვრულია ნარჩენი ღირებულებით. სასარგებლო გამოყენების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

2.5 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.6 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა არასაოპერაციო მოგებაში ან სხვა არასაოპერაციო ზარალში.

2.7 საპროცენტო შემოსავალი/ზარჯი

საპროცენტო შემოსავალი/ზარჯი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდზე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების დარიცხულ და მისაღებ/გადასახდელ თანხებს, რომელიც აღიარდება საპროცენტო შემოსავლებში/ზარჯებში.

3. დივიდენდების გადახდა

დივიდენდის განაწილება ნებადართულია მაშინ, როდესაც მას ამტკიცებენ კომპანიის დამფუძნებლები. შესაბამისი თანხის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში.

4. ამონაგები

2022

მომსახურების გაწევიდან	2,484,018
საქონლის რეალიზაცია	1,139,925
<u>სულ</u>	3,623,943

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოიცავს მხოლოდ არასაოპერაციო შემოსავლებს. (კონვერტაცია, გადაფასება და ა.შ).

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2022	2021
სხვა საგადასახადო კალდებულებები	4,031	65

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	681,222	967,222
გადახდილი ავანსები	22,038	32,681
	<u>703,260</u>	<u>999,903</u>

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022	2021
სხვა მიმდინარე აქტივები	197,055	42,066
	<u>197.055</u>	<u>42,066</u>

9. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი სა
	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2022წ.	()	294,882	60,973
შემოსვლა	()	4,640	11,362
გასვლა	()	(84,907)	(55,605)
31 დეკემბერი, 2022წ.	()	214,615	16,730
 დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
1 იანვარი, 2022წ.	()	49,554	37,518
წლიურიცვეთა	()	15,054	(32,598)
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2022წ.	()	64,608	4,920
 საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი, 2022წ.	()	150,007	11,810

10. არამატერიალური აქტივები

კომპანიას ბალანსზე არამატერიალური აქტივები არ უფიქსირდება 2022 წლის საანგარიშო პერიოდზე.

11. გრძელვადიანი სესხი

კომპანიას 2022 წლის საანგარიშო პერიოდზე გაცემული ან მიღებული სესხები არ უფიქსირდება.

12. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს 169,199 ლარს. ხოლო 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 64,706 ლარს შეადგენდა.

13. იჯარის ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფიზიკური პირისგან ბინა. ამ იჯარის ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. 2022 წლის განმავლობაში იჯარით აღებული ფართის თანხამ შეადგინა 15,000 ლარი, რომელიც ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებში.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	313,938	322,706
	<u>313,938</u>	<u>322,706</u>

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაანგარიშდება და აისახება საკურსო სხაობები სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის
ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება - (შპს ელვა 205108578)

აქტივები	შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	313,938	322,706	262,365
სავაჭრო მოთხოვნები		681,222	967,222	506,067
გადახდილი ავანსები		22,038	32,681	18,898
სხვა მიმდინარე აქტივები	8	197,055	42,066	10,932
სხვა არამატერიალური აქტივები	2.4, 10	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2.3, 9	161,817	270,012	232,509
სულ აქტივები		1,376,070	1,634,687	1,030,771

ვალდებულებები		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	2.6, 12	169,199	64,706	179,199
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	6	4,031	65	31,056
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
მიმდინარე (მოკლევადიანი) სასესხო ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	36,882	6,616
სულ ვალდებულებები		173,230	101,653	216,871

საკუთარი კაპიტალი		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალი)		4,203	4,203	4,203
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,198,637	731,459	894,496
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	797,372	(84,799)
საკუთარი კაპიტალი		1,202,840	1,533,034	813,900

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,376,070	1,634,687	1,030,771
--	--	-----------	-----------	-----------



საქმიანობის შედეგები - (შპს ელვა 205108578)

	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები	2.1, 4	3,623,943	2,571,849
საქონლის რეალიზაციიდან		1,139,925	67,208
მომსაურების გაწევიდან		2,484,018	2,504,641
სხვა		0	0
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(1,029,765)	(164,748)
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საერთო მოგება		2,594,178	2,407,101
სხვა შემოსავალი	5	8,306	65,895
დასაქმებულთა ანაზღაურება		(902,077)	(1,122,693)
ცვეთა და ამორტიზაცია		(43,198)	(39,081)
საპროცენტო შემოსავალი	2.7	12,387	5,643
იჯარის ხარჯი	13	(15000)	(21,488)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(765,258)	(528,480)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,704,867)	(1,640,204)
საოპერაციო მოგება		889,311	766,897
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	(104,319)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		889,311	662,578
მოგების გადასახადი	2.2	0	0
მოგება / (ზარალი)		889,311	662,578
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი		1,533,034	813,900
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(197,205)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(1,022,300)	56,556
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1202840	1,533,034

